

# სამეცნიერო ტურიზმის კარტოგრაფიული ასპექტები

## (იმერეთის მაგალითზე)

ნანა მაჭავარიანი

ელ./ფოსტა: [Nana.machavariani880@ens.tsu.edu.ge](mailto:Nana.machavariani880@ens.tsu.edu.ge);

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

### ანოტაცია

თანამედროვე კარტოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა თემატური კარტოგრაფირება, რომლის საშუალებითაც რიგი ახალი თემის წინ წამოწევა შესაძლებელია.

საქართველოს ტერიტორიაზე იმერეთის საკვანძო მდებარეობა მის სოციოეკონომიკურ და ტერიტორიულ პირობებთან ერთობლიობაში ხელს უწყობს ამ რეგიონში ტურიზმის განვითარების პერსპექტივას.

ნაშრომის მთავარი მიზანი ამ ორი წამყვანი ფაქტორის ერთმანეთთან დაკავშირება და თემატური კარტოგრაფირების საშუალებით იმერეთის რეგიონში სამეცნიერო ტურიზმის განვითარებაში გარკვეული წვლილის შეტანა.

დასახული მიზნის მიღწევა, შესაძლებელი გახდა, კვლევის ტრადიციული კარტოგრაფიული და გეოინფორმაციული მეთოდების გამოყენებით. ასევე ნაშრომის შესრულების პროცესში მოძიებული და გაანალიზებულია იმერეთის რეგიონის შესახებ არსებული ლიტერატურა და კარტოგრაფიული მასალები.

საბოლოო ჯამში, მოძიებული ინფორმაციების საფუძველზე მომზადდა საკვლევი რეგიონის ზოგადგეოგრაფიული საფუძველი 1:200 000 მასშტაბში. შეიქმნა სამეცნიერო ტურიზმის ობიექტებისა და მარშუტების რუკა და გეოინფორმაციული სისტემა.



annotation

Thematic cartography is one of the most important directions of the modern cartography as it address a wide variety of new topics.

Imereti's key location in Georgia together with its socioeconomic and territorial conditions contributes to the development of tourism in the region.

The main objective of the paper is to contribute to the development of scientific tourism in Imereti region by linking these two major factors using the thematic cartography method.

The goal is achieved by using the traditional cartographic and geoinformation methods of the research. Thought the working process, literature and cartographic materials on the Imereti region were analyzed.

Finally, based on the information collected, the ecological basis of the research area was prepared at 1: 200,000 scale. The mapping and geoinformation system of scientific tourism objects and routes was created.

**KEYWORDS:** Scientific tourism, geoinformation system, data base, thematic cartography